განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29.10.2021-09.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
09.11.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა / Economics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მანანა ლობჟანიძე (თავმჯდომარე)** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მაია ბარამიძე** შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ია ნაცვლიშვილი** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ტალიკაძე** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ბექა მარუაშვილი** დამსაქმებელი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, შეაფასოს **შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის** მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით;

შეფასდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია მიიღო 2011 წლის 9 დეკემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის #440 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრის დირექტორის 2021 წლის №MES 1 21 0000865581 (06/09/2021) ბრძანების შესაბამისად 2021 წლის 29 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში (ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის შეხვედრა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში) ეკონომიკის საბაკალავრო ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.
  - ვიზიტამდე შედგა 2021 წლის 27 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი ვიზიტი ონლაინ რეჟიმში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- 2021 წლის 29 ოქტომბერს ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, რექტორის მოადგილე, კანცლერი, დეკანი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება პლატფორმა zoom-ის საშუალებით. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - **პირველი სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეორე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 2.1, 2.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.3, 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,
  - **მესამე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - **მეოთხე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - **მეხუთე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასებულია, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა;
- მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში;
- საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე;
- აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს;

- მიზანშეწონილია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ამჟამად 2018 წლით დათარიღებული ინგლისურენოვანი პროგრამაა წარმოდგენილი;
- სასურველია, პროგრამის ფარგლებში მეტად გაიმიჯნოს ეკონომიკის და ბიზნესის საგნები და ეს უკანასკნელი თავისუფალი კომპონენტის/ არჩევითი კურსების ბლოკში გადავიდეს;
- სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით სასურველია ცალკეული არჩევითი საგნების გადანაცვლება სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში (მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ქცევითი ეკონომიკის შესავალი, მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, ინოვაციური ეკონომიკა და სხვა.);
- გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი იქ, სადაც ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა სიტყვებით არის ფორმულირებული;
- სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის დალაგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული სქემის მიხედვით - სწავლების ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, სავალდებულო და არჩევითი კურსების ქვეკატეგორიებით;
- სასურველია, გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით;
- სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში;
- სასურველია, პერსონალი და სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებული პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან

პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება და ამ მიზნით წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით;

- სასურველია, ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა;
- სასურველია, ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხარისხის ერთიანი მართვის (Total Quality Management) სისტემა დანერგილია და ხელმისაწვდომია ელექტრონულ პლატფორმაზე სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიცია და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, თუმცა დასკვნა დატოვა უცვლელი. დაწვრილებით ჩვენი მოსაზრებების შესახებ მოგახსენებთ ზეპირ მოსმენაზე

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი აღწერს თუ რა თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით უზრუნველყოფს პროგრამა კურსდამთავრებულს. კერძოდ, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: 1. მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა ეკონომიკის თეორიების, პრინციპების, მოდელების, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და იქნებიან კონკურეტუნარიანები, როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე, ისე განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად; 2. სტუდენტებს გამოუმუშავოს ეკონომიკის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე (მიკრო, მაკრო, საერთაშორისო) მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების შეგროვების, განმარტების, ანალიზის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი; 3. სტუდენტებმა შეძლონ ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მოახდინონ მისი ეფექტური წარდგენა დაინტერესებული აუდიტორიისათვის; ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლების მიღებას. პროგრამის მიზანი ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით

კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში.

ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებით დასახული კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით პროგრამას წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. პროგრამის მიზანი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მათი შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და მათი მემოთხოვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მეტად მორგებული გახდა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შზსუ ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. პროგრამის მიზნები რელევანტური და მიღწევადია:

● დამსაქმებელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს პროგრამას და ხაზს უსვამს კადრების ცოდნის, უნარებისა და ზოგადი კომპედენციების მაღალ დონეს, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების სპეციალობის მიხედვით დასაქმებას.

● პროგრამის უმეტესი კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფესიული ნიშნით (რაც მათ კვალიფიკაციას ადასტურებს);

● გამოკითხვაში მონაწილე უმეტეს კომპანიასა თუ ორგანიზაციაში დასაქმებულია მინიმუმ ერთი პროგრამის კურსდამთავრებული; დადებითი პასუხები გვაქვს მათი დამსაქმებელებისგან მიღებულ კითხვარებში თუ გასაუბრებების დროს;

● პროგრამის მიზნები ასახავენ შესაძენ პროფესიულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს;

● პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რადგან პროგრამის თითოეული საგანმანათლებლო კურსის შინაარსი და დასახული ამოცანები პროგრამის მიზნის მიღწევადობას ემსახურება;

● პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტისა მისიას.

● ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანი საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც

დაინტერესებული პირებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://ibsu.edu.ge/ge/bt page/economic/); პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები და კურსდამთავრებულები, აგრეთვე, დამსაქმებლები. ამდენად, მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია;
- ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი და დასაქმების სტატისტიკა;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.http//:www.ibsu.edu.ge
- ინტერვიუ რექტორთან;
- ინტერვიუ რექტორის მოადგილესთან;
- ინტერვიუ კანცლერთან;
- ინტერვიუ ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანთან;
- ინტერვიუ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. განმარტავს ეკონომიკის, როგორც სოციალური მეცნიერების განვითარების ეტაპებს, აღწერს ეკონომიკის ფუნდამენტურ თეორიებს, პრინციპებს, მოდელებს და ახასიათებს ეკონომიკის ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენების კანონზომიერებებს;

2. განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს და მსჯელობს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალურ, მონეტარულ და რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე;

3. აღწერს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე მოვლენების კვლევის ლოგიკას, განმარტავს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებს და ხსნის მათი გამოყენების თავისებურებებს;

4. იყენებს ეკონომიკურ თეორიებს, ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებსა და მოდელებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირებისათვის;

5. აანალიზებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს;

6. აგროვებს სოციალური კვლევის მეთოდების გამოყენებით ეკონომიკის სფეროსათვის

დამახასიათებელ მონაცემებს, ახდენს მათ დამუშავებას, ინტერპრეტირებას და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შესრულებას და მიზნობრივი აუდიტორიისათვის მის პრეზენტაციას;

7. იღებს პასუხისმგებლობას განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, აფასებს საკუთარ ცოდნასა და შესაძებლობებს ეკონომიკის სფეროში, განსაზღვრავს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებებს და გეგმავს საკუთარი პროფესიული უნარების განვითარებას; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავა, როგორც პროგრამის სწავლის შედეგების გასაზაომად საჭირო მონაცემების განსაზღვრის, ისე ამ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცედურებს. გამომდინარე აქედან, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და გაზომვას (იხ. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა). შეფასება მოხდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების დამუშავებით. შეფასებისთვის გამოყენებული იქნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდები გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და მიღწეული შედეგების ანალიზს, ხოლო არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიაზრებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და შედარებას ანალოგიურ პროგრამებთან და სხვა. თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება პირდაპირი მეთოდის გამოყენებით მოხდება პროგრამის სრული ციკლის დასრულების შემდეგ. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე პროცესის სრულყოფილი კონტროლისათვის ყოველი სემესტრის შემდეგ ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (შეფასებების განაწილება), სავალდებულო სასწავლო კურსების ჭრილში. შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების დროს კითხვარების თავმოყრა და ანალიზი განხორციელდება პროგრამის კოორდინატორის მიერ, რომელიც პროგრამის ხემძღვანელთან ერთად მოახდენს რეაგირებას პრობლემურ საკითხებზე. პროგრამის როგორც სწავლის შედეგების, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების შეფასებაში, ასევე მონაწილეობა უნდა მიიღოს პროგრამის განმახორციელებლმა აკადემიურმა პერსონალმა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს პროგრამის კოორდინატორისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. საგანმანათლებლო

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელიებისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასებების საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას სასწავლო კომპონენტი იდენტიფიცირებულია თითოეული სწავლის შედეგთან მიმართებით. აქვე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, თუ რა დონით და სტუდენტთა რა პროცენტული მაჩვენებლით უნდა იქნეს მიღწეული კონკრეტული სწავლის შედეგი (იხ. პროგრამის სამიზნე ნიშნულები). შემდგომ ეტაპზე შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების შევსების შედეგად მოხდება დაკვირვება და რეაგირება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ნორმალური დიაპაზონის (20%) დარღვევის შემთხვევაში, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის მექანიზმები. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა, სადაც დაკონკრეტებულია პროგრამის სწავლის შედეგებს როგორ ანვითარებს პროგრამის სასწავლო კომპონენტები გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგების დაკვირვებისთვის აღებულია მხოლოდ ის სასწავლო კომპონენტი, სადაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. მოცემულ შემთხვევაში პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება ხდება პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის ნაწილში. შესაბამისად, პროგრამას ასევე ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები, გრაფიკი. გამომდინარე აქედან, პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, რეალისტურია, მიღწევადია და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, დადგენილი წესით ახალი ცვლილებების ინიცირება, პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის წინასწარი განხილვები და შემდგომი განხილვისა და დამტკიცებისათვის ცვლილებების წარდგენა ხარისხის მართვის სამსახურისათვის, ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოებისათვის. აღნიშნული წესების დაცვით პროგრამაში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთა საშუალებითაც დაიფარა დარგის ფარგლებში განსახილველი მნიშვნელოვანი საკითხები; დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა; ენის კომპონენტს დაემატა ორი უცხო ენა (გერმანული და ფრანგული); განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ თემატიკა, ლიტერატურა და სწავლისა და სწავლების მეთოდები, მოდიფიცირდა კურსების დასახელებები; დაკორექტირდა კურსებზე დაშვების წინაპირობები; განახლდა

სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და გაიზარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. დაწესებულება განმარტავს, რომ განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ თემატიკა, ლიტერატურა. ექსპერტთა აზრის მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანია, აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია უახლესი გამოცემებით განახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის პროგრამა, სილაბუსები; • შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ისტორია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განთავსებულია ბმულზე https://iro.ibsu.edu.ge/en/home). კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაციის გავრცელება აგრეთვე ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით და სატელეფონო და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება დაინტერესებული კანდიდატების კონსულტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 15.05.2019 დამტკიცებული (ოქმი №7, დანართი №2) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც 24. 03.2020 განახლდა (უსდ-ს მიერ წარმოდგენილი „სხვა დოკუმენტაცია, დანართი 4“). ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; მის შემუშავებაში მონაწილეობა დაადასტურეს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით:

https://ibsu.edu.ge/ge/bt-page/economic/

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტის ჩარიცხვა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მოცემულია ბმულზე: https://iro.ibsu.edu.ge/en/page/admissions

აკრედიტაციის ვიზიტამდე 1 კვირით ადრე პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ოქტომბრის N92/ნ ბრძანების შესაბამისად დაკორექტირდა მიღების წინაპირობები, რაც ჯერ არ არის ასახული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შესაბამის განყოფილებაში.

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ინგლისურენოვანის იდენტურია 240 კრედიტს (1 ECTS - 25 საათი) მოიცავს შემდეგი განაწილებით:

ძირითადი სწავლების სფეროს საგნები - 160 კრედიტი, მათ შორის:

- სავალდებული საგნები – 123 ECTS;
- პრაქტიკა - 10 ECTS;
- საბაკალავრო ნაშრომი - 7 ECTS;
- ძირითადი სწავლების სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 ECTS (შეთავაზებული 94-დან, აქედან მინიმუმ 10 კრედიტი უნდა შესრულდეს ეკონომიკის მიმართულების კურსებით.).

თავისუფალი კომპონენტი - 80 კრედიტი, მ.შ. სავალდებულო საბაზისო სასწავლო

კურსები - 10 ECTS; არჩევითი - 70 ECTS (უცხოური ენის 20 კრედიტი და დამატებითი პროგრამა - 50 კრედიტი). კრედიტების აღნიშნული განაწილება და პროგრამის შინაარსის ანალიზი, წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვით, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბაკალავრო პროგრამა ძირითადად შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან. ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ამდენად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ეკონომიკის და ბიზნესის საგნები ნაკლებად არის გამიჯნული. პროგრამის სასწავლო კურსები მთლიანობაში თანმიმდევრული და ლოგიკურია, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებთან ერთად. სასწავლო კომპონენტებს ლოგიკურად მოსდევს კვლევითი კომპონენტი საბაკალავრო ნაშრომის სახით. სწავლების თავისუფალი კომპონენტის მოცულობა სტუდენტს ფართო არჩევანის შესაძლებლობას აძლევს. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შესაბამისობაშია სწავლების მეექვსე დონესთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 4; • ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ეკონომიკა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/bt-page/economic/; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები; • დაინტერესებული მხარეების ჩართულობა - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 2; • შრომის ბაზრის კვლევა - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი, დანართი 9; • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები

სასურველია იმავდროულად აისახოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ამჟამად 2018 წლით დათარიღებული ინგლისურენოვანი პროგრამაა წარმოდგენილი; • სასურველია, რომ პროგრამის ფარგლებში მეტად გაიმიჯნოს ეკონომიკის და ბიზნესის საგნები და ეს უკანასკნელი თავისუფალი კომპონენტის/ არჩევითი კურსების ბლოკში გადავიდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ.

ამ სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი სწავლის შედეგები ზოგადად შესაბამისობაშია პროგრამის 7 სწავლის შედეგთან. თითოეული საგნის შინაარსი ასევე უზრუნველყოფს ამ კურსის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობას უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის სწავლების დონესთან, საილუსტრაციოდ პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, ასევე კურიკულუმის რუკა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს პროგრამის სტრუქტურაში ცალკეული ცვლილებების საჭიროება სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მიგნებების სახით გააცნო უსდ-ს. კერძოდ, უმჯობესი იქნებოდა ისეთი არჩევითი საგნების გადანაცვლება ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში, როგორებიცაა, მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ქცევითი ეკონომიკის შესავალი, მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, ინოვაციური ეკონომიკა და სხვა. ასევე საჭიროა პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის ცვლილება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული სქემების მიხედვით (მუხლი 6, §3), ვინაიდან იგი განსხვავდება პროგრამის აღწერილობით ნაწილში და თვითშეფასების ანგარიშში მოცემული სტრუქტურისგან - სწავლების ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, თავიანთი სავალდებულო და არჩევითი კურსებით. ასევე გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი ერთიდაიგივე საგნის სხვადასხვა სიტყვებით წარმოდგენისას (მაგალითად „Principles of Philosophy“ პროგრამის სასწავლო გეგმაში და „Basics of Philosophy“ სილაბუსის მიხედვით).

სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა ძირითადად შესაბამისობაშია კურსებს შინაარსთან (მათი სირთულიდან გამომდინარე). ასევე ადექვატურია საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლა-სწავლების მეთოდები თემატიკის დაძლევადობის თვალსაზრისით.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ხელმძღვანელობს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციით“, რომელიც 15.05.2019 დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი N7, დანართი №1)

პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ

მეთოდებს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, თუმცა ისინი ერთიდაიგივეა სწავლის შვიდივე შედგისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას ანხორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური/ მოწვეული პერსონალი. დადგენილი სამიზნე ნიშნულიდან წინასწარ განსაზღვრული დიაპაზონით სამჯერ ზედიზედ გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები. სწავლის შედეგებზე დაკვირვებისთვის პროგრამას 4 წელი აქვს განსაზღვრული.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტწილად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა ცალკეულ საგნებში როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურა გადახედვას და განახლებას საჭიროებს, მაგრამ ინგლისურენოვან პროგრამასთან შედარებით ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა. მოძველებულია ძირითადი ლიტერატურა მაგალითად, სასწავლო კურსებში „Statistics for social sciences“ 1 & 2 (David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams "Statistics for Business and Economics", 11th edition 2011), ისევე როგორც დამხმარე მასალა - Harold O. Kiess. Statistical Concept for the Behavioral Sciences, 4th edition 2008. ასევე 2009 და 2007 წლებითაა დათარიღებული „Principles of Sociology“ სასწავლო კურსში მითითებული ლიტერატურა (Margaret L. Anderson, Howard F. Taylor. Sociology (The Essentials). 6th edition; Anthony M. Graziano, Michael L. Raulin, Research Methods, A Process of Inquiry, Pearson, 2007, Sixth Edition). „Monetary Economics“ კურსის ძირითადი სახელმძღვანელო შედარებით ახალია (Mishkin Frederic S. (2016) The Economics of Money, Banking, and Financial Markets (11th ed.). Pearson, Addison Wesley), რასაც ვერ ვიტყვით დამხმარე ლიტერატურაზე (Eaton, J.W. and F.S. Mishkin (2005) Readings to Accompany the Economics of Money, Banking and Financial Markets). ერთეული გამონაკლისების გარდა წიგნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ან ელექტრონული ვერსიის სახით სასწავლო კურსის „სმარტ“ გვერდზე (smart.ibsu.edu.ge)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ეკონომიკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/bt-page/economic/;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 5;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია- სხვა

დოკუმენტაცია, დანართი 5; • დაინტერესებული მხარეების ჩართულობა - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 2; • ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან; • ონლაინ ვიზიტი უსდ-ს ბიბლიოთეკაში.
რეკომენდაციები: • ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა; • მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში; • საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით სასურველია ცალკეული არჩევითი საგნების გადანაცვლება სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში (მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ქცევითი ეკონომიკის შესავალი, მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, ინოვაციური ეკონომიკა და სხვა.); • გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები იქ, სადაც ერთიდაიგივე საგანი სხვადასხვა სიტყვებით არის ფორმულირებული; • სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის დალაგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული სქემის მიხედვით - სწავლების ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, სავალდებულო და არჩევითი კურსების ქვეკატეგორიებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გარდა პროფესიული თეორიული ცოდნის მიწოდებისა, მიზნად ისახავს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი და სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/გაღრმავებას. კვლევითი უნარების განვითარება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული საბაკალავრო ნაშრომის საშუალებით ხდება, რომელსაც მინიჭებული აქვს 7 კრედიტი და რეგულირდება აკადემიური საბჭოს მიერ 03.05.2016 დამტკიცებული (გადაწყვეტილება №3, დანართი №1) საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციით. ნიმუშად წარმოდგენილი თეზისების გაცნობამ დაგვანახა, რომ ისინი მაღალ დონეზეა შესრულებული, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების გაფართოება, მაგალითად ისეთი ელემენტების დამატებით, როგორებიცაა გამოყენებული კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, მიზნისა და შედეგის კავშირი, აკადემიური სტილის და ციტირების წესების დაცვა და სხვა. პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 10 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი, ხოლო სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული მეცადინეობები და ჯგუფური სამუშაოები.

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა დასტურდება დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმებით. თუმცა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს (დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დანართი 2, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას დამატებით გამოთხოვილი პრაქტიკის ანგარიშები) და სტუდენტებთან/ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გაირკვა, პრაქტიკა/ სტაჟირება, ისევე როგორც შემდგომი დასაქმება ეკონომისტის სპეციალობით ნაკლებად ხდება (და წინააღმდეგობაში მოდის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ კვალიფიკაციით დასაქმების ძალიან მაღალ პროცენტებთან). აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნევთ პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილურ გაძლიერებას.
ასევე, პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტების, სტუდენტური კონფერენციების და სხვა მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება/ ჩატარება უნივერსიტეტის მიერ. ამ ღონისძიებების ჩამონათვალი და ჩატარებული სტუდენტური კონფერენციების შესახებ ინფორმაცია სტუდენტთა მონაწილეობის მონაცემებთან ერთად უსდ-ს წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის და ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანგარიშებში (გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ეკონომიკა;
- ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 5;
- საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია - სხვა დებულებები, დანართი 15;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები - თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან, დანართი 10;
- ვიზიტის მიმდინარეობისას მოწოდებული დამატებითი დოკუმენტაცია - პრაქტიკის ანგარიშები;
- გამოკითხვის შედეგები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 2;
- სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში - სხვა დებულებები, დანართი 16.

• ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: • აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებეული სასწავლო კურსები მიეწოდება სწავლა/სწავლების ისეთი ფორმების გამოყენებით როგორებიცაა:

- ლექცია;
- სამუშაო ჯგუფები;
- პრაქტიკული/ ლაბორატორიული მუშაობა;
- სემინარი; და
- დამოუკიდებელი მუშაობა.

აღნიშნული ფორმები შემდეგი აქტივობებით ხორციელდება: პრეზენტაცია; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; შემთხვევების შესწავლა (case study); გონებრივი იერიში (brain storming); დისკუსია / დებატები; სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები; პროექტი; პრეზენტაცია; ელექტრონული საშუალებებით სწავლება; ამოცანების ამოხსნა; პრობლემების გადაჭრა; ჯგუფური მუშაობა; ინდივიდუალური მუშაობა; წიგნზე მუშაობა; საშინაო დავალების შესრულება და სხვა.

აღნიშნული ფორმები და მეთოდები გამოიყენება საგნის თავისებურებებიდან გამომდინარე და გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით, თუმცა არსებულმა მდგომარეობამ და ნორმალური სასწავლო პროცესის დისტანციური სწავლებით ჩანაცვლებამ მაქსიმალურად შეზღუდა სწავლების ინტერაქტიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. დისტანციური სწავლების რეჟიმში საბაკალავრო პროგრამა Google Meet პლატფორმას იყენებს.

სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პროგრამის ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულია ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო, კვირაში 2 საათი. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ასევე მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი ყოველ სემესტრში დგება, რაც სასწავლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე. ყოველივე ზემოთაღნიშნული დასტურდება სტუდენტებთან ჩატარებული

გასაუბრების და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. უნივერსიტეტი და მათ შორის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფს სტუდენტთა სპეციალურ საჭიროებებსა და განსხვავებულ მოთხოვნებს, რაც სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას იძლევა და უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეებს, შემუშავების საფუძვლებსა და პროცედურებს განსაზღვრავს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 31 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ეკონომიკა; • ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები; • გამოკითხვის შედეგები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა - სხვა დოკუმენტაცია, დანართი 2; • შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 31 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა) - სხვა დებულებები, დანართი 15; • ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. დასკვნითი შეფასების მისაღებად სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მოგროვების შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სასწავლო კურსისთვის არის 15 ქულა (37,5%). სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. სილაბუსებში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე, ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის რამდენიმე სისტემა, ესენია: sis.ibsu.edu.ge smart.ibsu.edu.ge. სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავიდანვე გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავის მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. აქედანვე სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა სახის განცხადებით მიმართონ დაწესებულებას. ამავე, სისტემაში ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ყველა საჭირო სასწავლო მასალა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილში გვხვდება განსხვავებული შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები აქვთ. კერძოდ, სასწავლო კურსების სპეციფიკიდან ეს შეიძლება იყოს სააუდიტორო აქტიურობა, ქვიზები, პრეზენტაცია და ა.შ.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ორ ეტაპად: შუალედური შეფასება (50 ქულა) და დასკვნითი შეფასება (50 ქულა). შუალედური შეფასება არის სტუდენტის მიერ ნაშრომზე მუშაობის შეფასება ხელმძღვანელის მიერ, რომელშიც გაითვალისწინება თემის აქტუალობა, ლიტერატურის მოძიება და დამუშავება, ხელმძღვანელის რეკომენდაციების გათვალისწინება, დროითი ნიშნულების დაცვა, ძირითადი ტექსტის ვალიდურობა. თითოეული კომპონენტი ფასდება თანაბრად, 10 ქულით. ხოლო ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხდება კომისიის მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: აქტუალობა, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, სიახლე, დაცვის მასალის პრეზენტაცია, დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა, დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა, კომუნიკაციის ხარისხი შესაბამისი პროგრამის სწავლების ენაზე.

სტუდენტის დაშვება დასკვნით შეფასებაზე ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 21 ქულას. საბოლოო დადებითი შეფასების მისაღებად დამატებითი პირობაა ის, რომ დასკვნითი შეფასება უნდა იყოს არანაკლებ 21 ქულისა.

გამომდინარე ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან ამდენად, შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის, ამასთანავე, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს ისინი ზოგადად დადებითად აფასებდნენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ხშირად იყო ხაზი გასმული სწავლებისას პარალელურად Case study-ს ტიპის დავალებების გამოყენებაზე.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ დაწესებულება პლაგიატის ამოსაცნობად იყენებს Strike Plagiarism სისტემას და იგი სავალდებულოდ მოთხოვნილია სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესამოწმებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- შზსუ-ს საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები: https://sis.ibsu.edu.ge/ და https://smart.ibsu.edu.ge/
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პერსონალი და სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებული პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სემესტრული სასწავლო განრიგი, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი, სასწავლო მასალა და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მათ პირად გვერდზე (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები sis.ibsu.edu.ge smart.ibsu.edu.ge). ამასთან, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელზეც მათ მიეწოდებათ ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტებს პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფს კარიერის დაგეგმვის სამსახური. საყურადღებოა, როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გამოიკითხა მათი დასაქმების ადგილი და შესაბამისი პოზიციები, ძირითადად ისინი ბიზნესის ან სხვა სფეროში მოღვაწეობდნენ. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ხოლო ადმინისტრაციასთან ინტერვიურებისას ექსპერტთა დაინტერესების შემდეგ მათ წარმოადგინეს მოქმედი სასწავლო ცხრილი, შესაბამისი საკონსულტაციო საათებისა და დღეების მითითებით. სილაბუსით განსაზღვრულია კვირაში 2 საკონსულტაციო საათი. აღსანიშნავია, სტუდენტები ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია მეტ-წილად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის დახმარებით. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, სტუდენტური პროექტები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან

და ფაკულტეტისგან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა შეიძლება შეფასდეს დადებითად. ასევე, დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე 2013 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში ფიქსირდება მხოლოდ 17 გაცვლითი სტუდენტი. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მცირე (1-2) ნაწილმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილების მიღებაც, თუმცა იგივე აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ. სტუდენტთა ინტერვიუირების დროს, მათ აღნიშნეს, რომ ეს მათი პირადი არჩევანია. დაწესებულებამ გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ხოლო ბოლო წლებში დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის გამოკითხვის შედეგები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობით, ინტერვიუირებისას აღნიშნული დასტურდება მონაწილე მხარეების მხირდანაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, იხ. ბმული: https://ibsu.edu.ge/ge/ ; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები: https://sis.ibsu.edu.ge/ და https://smart.ibsu.edu.ge/ ; • უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; • სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამის განხორციელებას სულ უზუნველყოფს 29 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 11 აკადემიური და 18 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 4 პროფესორია (2 აფილირებული პროფესორი), რაც პროგრამის განხორციელებაში ჩართული მთლიანი პერსონალის 13%-ია; 8 ასოცირებული პროფესორი (8 აფილირებული ასოცირებული პროფესორი), რაც მთლიანი პერსონალის 27%-ია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის საფუძველზე კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება, როგორც რეზიუმეში წარმოდგენილი ინფორმაციით, ასევე, განათლების, კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის/წოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის მოწვეული პერსონალის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია დასტურდება მათ პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (რეზიუმე, განათლების, კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის/წოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი. მათი რაოდენობის განსაზღვრისა და დატვირთვის განაწილებისას მხედველობაში მიიღება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს პროგრამისთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რეკომენდაციებისა და რჩევების პროგრამის ხელმძღვანელისთვის გაზიარებას.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი აზერ დილანჩიევი, ეკონომიკის დოქტორი. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაში, ასევე პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა კონსულტირების, საბაკალავრო თემების ხელმძღვანელობის პროცესში.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტთა მომსახურების მიზნით ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, დეკანი მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერები, სტუდენტურ საქმეთა განყოფილება, კარიერის დაგეგმვის სამსახური, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი. (იხ.უნივერსიტეტის სტუქტურული ერთეულების დებულება). შესაბამისად, პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაციაც შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები), პუბლიკაციების სია;
- პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმე, პუბლიკაციების სია და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას, რაც გულისხმობს მათი პედაგოგიური საქმიანობის შეფასებას, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში კი კვლევითი საქმიანობის შეფასებასაც. პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, ხოლო კვლევითი საქმიანობის - წლიურად.

პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხდება რამდენიმე კომპონენტით - აკადემიური წლის ბოლოს პერსონალის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის ანგარიშით და ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვის საშუალებით (საუნივერსიტეტო პორტალზე - sis).

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს. აკადემიური პერსონალი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგინოს აკადემიური საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია ნაშრომების, პუბლიკაციების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის, განხორციელებული პროექტების, კონფერენციებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში მონაწილეობის შესახებ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებაზე - ფინანსურად წახალისებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტან აფილირებული აკადემიური პერსონალი სარგებლობს შემდეგი ფინანსური ხელშეწყობით: აფილირებული პირის მიმართვისა და ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, 3000 ლარის ფარგლებში, დაუფინანსოს აფილირებულ პირს კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირება და პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელება ხდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, #2, 0131). ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პროცესის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერები (2 თანამშრომელი), სტუდენტურ საქმეთა განყოფილება (3 თანამშრომელი), კარიერის დაგეგმვის სამსახური (2 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (2 თანამშრომელი), ჯამში 14 ადმინისტრაციული პერსონალი (იხ.უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები). შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. გამოყოფილია სათანადო ინვენტარითა

და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიები. Smart learning პროგრამაში განთავსებულია ლექტორების მიერ მომზადებული პრეზენტაციები და სხვა დამხმარე მასალა. უნივერსიტეტში არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (ბაზები მითითბულია საიტზევე). პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. შზსუ-ს სტუდენტებს და პერსონალს აქვთ წვდომა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებთან: Clarivate Analytics, EBSCOhost, Polpred.com, JSTOR Cambridge University journals, Royal Society Journals Collection, Science Direct; Scival Funding (Funding institutional); Cambridge Journals Online; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; Edward Elgar Publishing Journals; SAGE Journals; IMechE Journals; Royal Society Journals Collection; e-Duke Journals Scholarly Collection; Mathematical Sciences Publishers Journals; Openedition Journals და Heinonline Elsevier. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://library.ibsu.edu.ge/eg/opac/home);(https://www.ibsu.edu.ge/library/about-us). შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკა მუშაობს 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, შაბათის ჩათვლით. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს და ხელს უწყობს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასები და ლაბორატორია; • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; • შზსუ-ის ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • ელექტრონული ბაზები; • უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან ერთად. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება. ბიზნესი და ტექნოლოგიები ფაკულტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან შემდეგ ხარჯებს: o სამეცნიერო და კვლევითი ხარჯები – 10700ლარი o საგანმანათლებლო მხარდაჭერის ხარჯები – 8734ლარი აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით.

მიზანშეწონილია უფრო დეტალურად გაიწეროს პროგრამის განხორციელების პირდაპირი ხარჯები, განისაზღვროს სტუდენტთა ის მინიმალური რაოდენობა რომელთა მიღება უზრუნველყოფს ამ ხარჯების ანაზღაურებას (თვითგამოსყიდვა), ხოლო უფრო ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში პროგრამის პირდაპირი ხარჯების დაფარვის გზები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკთხი არ ეხება პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, საუბარია ბიუჯეტირების პროცესის გაუმჯობესებაზე, შესაბამისი ხარჯებისა და მათი დაფარვის წყაროების ერთიან წარმოდგენის ფორმატზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 2020/2021 წლის ბიუჯეტი; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. • სასურველია, ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასების (თვითშეფასების პროცესი) პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობით წარიმართა.** ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვიშეფასების ანგარიშის მომზადების კოორდინირება. თვითშფასების პროცესი დაიწყო დაახლოებით ერთი წლის წინ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნადობის დადგენითა და შესაბამისად ბაზრის კვლევის ანალიზით. შედეგად მოხდა პროგრამის განახლებისა და განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. შემდეგ ეტაპზე განისაზღვრა პროგრამის განახლებაზე მომუშავე ჯგუფების შემადგენლობა, სადაც ჩართული იყვნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე დამამთავრებელი კურსის ორი სტუდენტი. პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობდა შესაბამის სამსახურებთან (სტუდენტურ საქმეთა და კურსადმთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური და ა.შ.), შეფასების შედეგები და შედეგების ანალიზი განიხილებოდა პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. მიიღებოდა გადაწყვეტილებები საჭირო ცვლილებების შესახებ. სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის მიხედვით მოხდა თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევი სწავლის შედეგების განსაზღვრა, რის საფუძველზეც პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა შეადგინა სასწავლო კურსის სილაბუსები. პროგრამისა და სილაბუსის შემუშავებული ვერსია წარედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხოლო სამსახურის შეფასების შემდგომ, საბოლოო ვერსია წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ვერსიის ოქმის საფუძველზე ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე: ხრისხის უზრუნველყოფის სამსახური პროცესს იწყებს შეფასებით, ხდება არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა, შემდეგ ეტაპზე ხდება ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმა, საჭირო ცვლილებების განხორციელება (განახორციელე), ხდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება და შესაბამისად გამოყენებული მექანიზმების შემოწება (შეამოწმე) და მიღებული შედეგების მიხედვით გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით საჭირო ცვლილებების განხორციელება პროცესის დახვეწის მიზნით (განავითარე). აღნიშნული პროცესი ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ ყველა სახის საქმიანობას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, და უწყვეტად მიმდინარეობას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არსებობს კარგი პრაქტიკა, კერძოდ, ხარისხის ერთიანი მართვის (Total Quality Management) სისტემა დანერგილია და ხელმისაწვდომია ელექტრონულ პლატფორმაზე სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებისა და უკუკავშირის მიღება დაინტერესებულ მხარეებს (სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას) შეუძლიათ დაწესებულებაში დანერგილი ორი ელექტრონული პლატფორმის „სმარტის“ და „სის“-ის მეშვეობით. აღნიშნული პლატფორმები გამოიყენება ხარისხის პერიოდული მონიტორინგის მიზნითაც.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესიც ზემოთ აღნიშნული ეტაპების მიხედვით მიმდინარეობდა, პროგრამა მოცემული სახით განახლდა იგივე ეტაპების დაცვით. მუდმივად ხდებოდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების შეფასება პროგრამის განვითარების მიზნით (სტუდენტები მუდმივად აფასებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ხდება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა), ხოლო პროგრამის განახლების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია კვლავ შეფასდა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისად პროგრამის დახვეწა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა

მექანიზმები; • ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების ანალიზი; • სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების 2020/2021 წლის ანგარიშები; • სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზი; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ პროგარმის თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; • ინტერვიუ აკადემიურ/მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე-ტექნიკურ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ხარისხის ერთიანი მართვის (Total Quality Management) სისტემა დანერგილია და ხელმისაწვდომია ელექტრონულ პლატფორმაზე სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მიზნით გამოყენებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული აკრედიტაციის მექანიზმი და ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული რჩევები და რეკომენდაციები და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №436; 09.12.2011). **შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები ასახულია პროგრამაში. საანგარიშო პერიოდში პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე შესრულებულია ყველა რეკომენდაცია. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები ითვალისწინებდა პრაქტიკული და ტექნოლოგიური ცოდნის გაძლიერების კუთხის სასწავლო კურსების ჩართვას პროგრამაში, არჩევითი კურსები დამატებას, ასევე, პრაქტიკა/სტაჟირება გახდა სავალდებულო.**

ამასთან, პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით მოხდა პროგრამის შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ და, ასევე, დარგში დასაქმებული სპეციალისტების მიერ. შეფასების პროცესში დამსაქმებლებმა და დარგში დასაქმებულმა სპეციალისტებმა შეაფასეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სემესტრული განაწილება, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა. შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- დამსაქმებელთა და დარგში დასაქმებულ სპეციალისტთა გამოკითხვის შედეგები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები (აკრედიტაციის საბჭოს ოქმი N14; 09.12.2011);
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №436; 09.12.2011.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განვითარების პროცესი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ეტაპების მიხედვით მიმდინარეობდა. მუდმივად ხდებოდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასება ყველა დაინტერესებული მხარის (სტუდენტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებელი) მიერ და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ხდებოდა პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისად პროგრამის დახვეწა. **როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, პროგრამის ხელმძღვანელობისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის პროცესში გაკეთდა შედარება /დადარება (ბენჩმარკინგი) ხორვატიის, ესპანეთის, კვიპროსის, იტალიის პოლონეთის სიდიდით შესაბამის უნივერსიტეტებთან, შეირჩა ისეთი უნივერსიტეტები, რომელთა შორისაც ორი უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა იყო ოთხი წელი, ორში კი - სამი წელი. ბენჩმარკინგისთვის ევროპული უნივერსიტეტები შეირჩა უცხოეთში მობილობის გაზრდის მიზნითაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შეფასების პროცესში საანგარიშო პერიოდში არ გამოყენებულა განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასება (სხვა უსდ-ებში**

დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო კურსის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროგრამის მონიტორინგისა და მთლიანად პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული საქმიანობის, მიღებული გამოკითხვის შედეგების, სწავლის შედეგების შეფასების და შედეგების ანალიზის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და მათთან ერთად განიხილება საჭირო ცვლილებები.

პერიოდული მონიტორინგისა და პროგრამის ხარისხის შეფასების უწყვეტი მექანიზმების გამოყენების შედეგად შეიქმნა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მორგებული პროგრამა. პროგრამა არის დაბალანსებული, როგორც ეკონომის, ასევე ბიზნესის შემსწავლელი საგნებით. სწორედ ამით არის გამორჩეული. ეკონომისტების საქმე არის ფართო სტრატეგიული მიზნების და შესრულების სამოქმედო გეგმების დასახვა, შესაბამისი კონსულტაციების გაწევა/რეომენდაციების მიცემა კომპანიებისთვის. სწორედ ამიტომ ეკონომიკის პროგრამას აქვს დამატებული ბიზნესის საგნების ფართო სპექტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებელების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორების შეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვის (სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება) შედეგების ანგარიში;
- ლექციის შეფასების ფორმა;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის საერთაშორისო ანალოგებთან შედარების დოკუმენტი;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგარმის თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ/მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე-ტექნიკურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება და ამ მიზნით წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მანანა ლობჟანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ია ნაცვლიშვილი

მაია ბარამიძე

ნინო ტალიკაძე

ბექა მარუაშვილი